გასული წელი მნიშვნელოვანი იყო იმითაც, რომ 2017 წელს ორგანიზაცია გახდა რეგიონული ჰაბი იმერეთის მხარეში და მომდევნო სამი წლის განმავლობაში პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ვიმუშავეთ სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებაზე. ასევე შევეცადეთ გასულ წელს ახალგაზრდებისთვის უფრო მეტი შესაძლებლობა მიგვეცა ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში გამგაზვრებულიყვნენ და მონაწილეობა მიეღოთ ტრენინგებსა და სხვადასხვა მოხალისეობრივ პროგრამებში.

ჩამონათვალი მიღწეული წარმატებისა და თუ განხორციელებული საქმისა საკმაოდ დიდია, რასაც მოცემული ანგარიში ვერ დაიტევს. მაგრამ ცხადია, რომ ამ დიდი შრომის უკან დგას გუნდი, რომელიც ემსახურება იდეას და მზადაა უფრო მეტი მონდომებითა და შემართებით იმუშაოს ადგილობრივი დემოკრატიის გაძლიერებაზე საქართველოში.

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს — ნინო ხუხუა
აღმასრულებელი დირექტორი



ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო - ეროვნული პლატფორმის რეგიონული წარმომადგენელი



ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველომ 2017 წელსაც განაგრძო საქმიანობა, როგორც აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის (GNP) წარმომადგენელმა იმერეთის

მხარეში. აღნიშნული მანდატის ფარგლებში ჩატარდა რამდენიმე საინფორმაციო შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან, სტუდენტებთან, ადგილობრივ ხელისუფლებასთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.



გასულ წელს ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველომ, ქ. ქუთაისში უმასპინძლა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის (ESP CSF GNP) საკოორდინაციო შეხვედრას. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ევროინტეგრაციის საკითხებზე, ეროვნული პლატფორმის ზოგად ამოცანებსა და მიზნებზე. სულ შეხვედრას ესწრებოდა 37 ადამიანი, მათ შორის საბჭოს წევრები, რეგიონალური არასამთავრობო და მედია ორგანიზაციების წარმომადგენლები. შეხვედრაზე სპიკერებად წარმოდგენილნი იყვნენ ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე კახა გოგოლაშვილი, ლაშა ტულუში, საქართველოს ევროპული და ევ-



რო ატლანტიკური ინტეგრაციის მინისტრის პირველი მოადგილე არჩილ ყარაულაშვილი, იმერეთის გუბერნატორი გივი ჭიჭინაძე, ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი ნინო ხუხუა და ALDA აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების კოორდინატორი ნინო თვალთვაძე. ორგანიზაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ნინო ხუხუამ მონაწილეებს გააცნო რეგიონული წარმომადგენლის საქმიანობის მიზნების და ამოცანების შესახებ ინფორმაცია, მისი პრეზენტაციისას მან ხაზგასმით აღნიშნა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია პარტნიორობა

საქართველოს ეროვნულ პლატფორმასა და ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს შორის იმერეთის მხარეში.

შეხვედრის დასასრულს, იმერეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულს-გუბერნატორს გივი ჭიჭინაძეს, ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს აღმასრულებელ დირექტორს ნინო ხუხუას და საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარეს კახაბერ გოგოლაძეს მიერ ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომლის მიზანია იმერეთის მხარეში სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესში.

საინფორმაციო შეხვედრა სტუდენტებთან - შეხვედრის მიზანი ქართულ-ევროპული ურთიერთანამშრომობის გზით განხორციელებული ცვლილებების შესახებ ინფორმაციის გაზიარება იყო. ამ მხრივ განსაკუთრებით აღინიშნა საქართველოს ვიზა ლიბერალიზაციის საკითხი, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის მარტში.

შეხვედრაზე მონაწილეებმა განიხილეს საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის აქტუალური საკითხები. აგრეთვე გამოწვევები, რის წინაშეც საქართველოს მოქალაქეები დგანან ევროკავშირთან ახალი უვიზო რეჟიმის პირობებში.



შეხვედრის მონაწილეებს ასევე მიეწოდათ ინფორმაცია აღმოსავლეთ პარტნიორობის საქართველოს ეროვნული პლატფორმის და მისი რეგიონალური წარმომადგენლის ხედვის შესახებ.

საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა იმერეთის მხარეში მოქმედი არასამთავრობო და მედია ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის - რომლის მიზანიც საქართველოს ეროვნული პლატფორმის (GNP) შესახებ ინფორმაციის მიწოდება გახლდათ. შეხვედრაზე, მონაწილეთა განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია პლატფორმის თემატურ ქვეჯგუფებში გაწევრიანების და საქმიანობის საკითხმა.

სემინარი ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს ახალგაზრდული კლუბის წევრებთან - შეხვედრის მიზანი ახალგაზრდებისათვის ევროპული სასწავლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდება გახლდათ. შეხვედრაზე სპეცია-



ლური სტუმრის სტატუსით მონაწილეობდა ქალბატონი ანა დიტა, რომელმაც ისაუბრა ევროპაში მოქმედი ახალგაზრდული პროგრამების და სხვა ახალგაზრდული შესაძლებლობების შესახებ.

მიგვანია, რომ აღნიშნული შეხვედრა ახალგაზრდებს დაეხმარება უფრო აქტიურად ჩაერთონ სამოქალაქო საქმიანობაში.

2017 წელს ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ეროვნული პლატფომის მე-4-ე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი ორგანიზაცია გახდა და წლის განმავლობაში კოორდინირებას უწევდა სამუშაო ჯგუფის შეხვედრებს,

სადაც განიხილებოდა სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

პროექტი „გზად საბინაო სექტორის რეფორმებისკენ: ბინათმესაკუთრეთა გაერთიანებების პოტენციალის ამაღლება აზერბაიჯანში, ბელარუსში, მოლდოვაში, საქართველოსა და უკრაინაში“

პროექტი „გზად საბინაო სექტორის რეფორმებისკენ: ბინათმესაკუთრეთა გაერთიანებების პოტენციალის ამაღლება აზერბაიჯანში, ბელარუსში, მოლდოვაში, საქართველოსა და უკრაინაში“ ევროკავშირის მხარდაჭერით გერმანიასა და აღ-



მოსავლეთ პარტნიორობის 5 ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში 2015 წლის იანვრიდან 2018 წლის იანვრის ჩათვლით განხორციელდა. პროექტის მიზანი იყო სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება საბინაო სექტორის გადაწყვეტილებების მიღებაში და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების შესაძლებლობების გაუმჯობესების მხარდაჭერა. საქართველოში პროექტის პარტნიორები იყვნენ არა-

სამთავრობო ორგანიზაციები: ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო (ქუთაისი); საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“ (თბილისი), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (ბათუმი). პროექტის წამყვანი პარტნიორია გერმანული არა-სამთავრობო ორგანიზაცია – ინიციატივა საბინაო მეურნეობა აღმოსავლეთ ევროპაში (IWO e.V.), ბერლინი. საქართველოს სამ სამიზნე ქალაქში ქუთაისში, თბილისსა და ბათუმში პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების სამართლებრივ-ტექნიკური დახმარების რესურს ცენტრები.

ქ. ქუთაისში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების სამართლებრივ-ტექნიკური რესურს ცენტრი ჩამოყალიბდა ა(ა)იპ განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრის ბაზაზე, რომელიც პროექტის ფარგლებში სხვადასხვა ტიპის და შინაარსის აქტივობებს ახორციელებდა ქუთაისის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების გასაძლიერებლად. პროექტში ჩართული ექსპერტები, სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ აზერბაიჯანის, ბელორუსიის, გერმანიის, უკრაინის, მოლდოვის ქვეყნებში, სადაც გაეცნენ აღნიშნული ქვეყნების გამოცდილებასა და წარმატებულ მაგალითებს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მუშაობის გამოცდილებას. შეხვედრებზე ასევე განხილული იქნა საქართველოში არსებული სიტუაცია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების კუთხით.

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს ორგანიზებით გაიმართა მრავალი მაგიდის ფორმატის შეხვედრა საბინაო ამხანაგობების თავმჯდომარეებთან და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან. შეხვედრაზე პარტნიორი ორგანიზაციებისა (LDA Georgia, CHCA, CSI) და პროექტის ფარგლებში შექმნილი რესურს ცენტრების (EDEC, LAG, პროგრესი) მიერ წარდგენილი იქნა ქუთაისში, თბილისში





და ბათუმში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კუთხით არსებული მდგომარეობა განხორციელებული აქტივობები, ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვის და განვითარების სამსახურის უფროსის მიერ წარდგენილი იქნა ქუთაისის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების მუნიციპალური პროგრამები და საბინაო პოლიტიკის მდგომარეობა საქართველოში შესახებ ისაუბრა მოწვეულმა ექსპერტმა ლადო ვარდოსანიძემ.

პროექტის ფარგლებში მოეწყო კონფერენციის „საცხოვრისის პოლიტიკა, მდგრადი მართვის პრაქტიკა, ენერგოეფექტურობა და დაფინანსება“ შესახებ, რომლის ორგანიზატორები გახლდნენ ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო, საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი და ახალი ტექნოლოგიების ცენტრი. ღონისძიებაზე არასამთავრობო სექტორმა, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად განიხილეს ისეთი თემები როგორცაა: საცხოვრისის მართვა, შენობების ენერგოეფექტური მოდერნიზაციის შესაძლებლობე-





ბი; ენერგოეფექტური სანაცია და სხვა. პროექტი ერთდროულად 5 სხვადასხვა ქვე-
ცანაში ხორციელდება და მასში ჩართულია სამთავრობო, არასამთავრობო და კერძო
სექტორი.

პროექტის ფარგლებში, დაინტერესებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თავ-
მჯდომარეებისათვის მოეწყო სამუშაო შეხვედრა იურისტ ნინო ხუხუასთან. შეხვედ-
რის მიზანი იყო, წარმოდგენილი ამხანაგობებისათვის ახალი წესდების დამუშავება,
რომელიც მორგებული იქნება მათ ამხანაგობებზე და უფრო ეფექტურს გახდის მათ
მუშაობას.

პროექტის ფარგლებში გამოიცა სამი სტატია (ქართულ და ინგლისურ ენებაზე)
შემდეგ თემებზე:

1. ზოგიერთი მოსაზრება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საქმიანობის გარემოს
სრულყოფის თაობაზე;
2. ურბანული საცხოვრისის ინდიკატორები - რაობა, მსოფლიო პრაქტიკა და საქართ-
ველოში მათი დანერგვის წინადადება;
3. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის როლი და მნიშვნელობა საქართველოში.

**პროექტი „გზად საბინაო სექტორის რეფორმებისკენ: ბინათმესაკუთრეთა
გაერთიანებების პოტენციალის ამაღლება აზერბაიჯანში, ბელარუსში,
მოლდოვაში, საქართველოსა და უკრაინაში“**

პროექტის მიზანს წარმოადგენდა მოწყვლადი კატეგორიის ჩართვა სასოფლო-
სამეურნეო საქმიანობაში, სასურსათო უზრუნველყოფის გაუმჯობესება, მათი შე-
მოსავლის ზრდა, სოციალური მდგომარეობის გაძლიერება გრანტების გაცემის გზით
ინვესტიციების მხარდაჭერით. პროექტი დაფინანსებული იყო გაეროს სურსათისა
და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიერ.





პოტენციურ ბენეფიციარების გამოვლენის მიზნით ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები იმერეთის მხარის რვა მუნიციპალიტეტში, კერძოდ: ქუთაისში, სამტრედიაში, ბაღდათში, ვანში, თერჯოლაში, ტყიბულში, წყალტუბოსა და ხონის მუნიციპალიტეტებში. საინფორმაციო შეხვედრების ფორმად გამოყენებული იყო როგორც კოლექტიური ჩასახლების ცენტრები ასევე ინდივიდუალურად კერძო სექტორში მცხოვრებ ბენეფიციარებთან შეხვედრაც. შეხვედრებს სულ ესწრებოდა 290 ბენეფიციარი.

პროექტის განხორციელების პერიოდში მომზადებული და გაგზავნილი იქნა 108 საპროექტო განაცხადი იმერეთის მხარის 8 (რვა) მუნიციპალიტეტიდან (ქუთაისი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, სამტრედია, თერჯოლა, ვანი, ტყიბული), რომელიც ეხებოდა შემდეგ საკითხებს:

- სათბურის საფარის შეძენა - 2;
- ფერმისთვის სხვადასხვა ტექნიკის შეძენა - 7;
- ფუტკარი - 47;
- ბალახის საჭრელი - 1;
- მსხვილფეხა საქონლის შეძენა- 36;
- სათბურის მშენებლობა - 6;
- ყავის მანქანა -6;
- საცხოვრებელი ინვენტარი -3

წარდგენილი პროექტებიდან დაფინანსებული იქნა 62 პროექტი.

პროექტი „ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი“

ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი შემუშავდა პროექტის „ღია და ანგარიშგალდებული თვითმმართველობებისათვის – მუნიციპალიტეტებში გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა ჩართულობის ეროვნული შეფასება“ ფარგლებში. პროექტი განხორციელდა კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრის (CTC), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისა (IDFI) და მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრის (MSDC) მიერ, ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს (OSGF) ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის მიზანს, წარმოადგენდა ეროვნული შეფასების მექანიზმის დანერგვის ხელშეწყობა და თვითმმართველი ორგანოების გამჭვირვალობისა და ანგარიშგალდებულების პრაქტიკის გაუმჯობესება.




პროექტის ფარგლებში პარტნიორ რეგიონალურ ორგანიზაციებთან ერთად შეფასდა ქვეყნის ყველა თვითმმართველი ორგანოს გამჭვირვალობა, მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმები და პრაქტიკები ერთიანი ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის მეშვეობით (www.lsgindex.org), მომზადდა და გამოქვეყნდა რეიტინგი და ეროვნული ანგარიში. ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს მიერ პროექტის ფარგლებში შეფასდა 12 (თორმეტი) მუნიციპალიტეტი: ზესტაფონის; თერჯოლის; ხარაგაულის; ქ. ამბროლაურის; ამბროლაურის; ლენტეხის; ცაგერის; ონის; ქ. ქუთაისის; ბაღდათის; ჭიათურის და საჩხერის მუნიციპალიტეტები. ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსით შეფასდა მუნიციპალიტეტის როგორც აღმასრულებელი, ისე წარმომადგენლობითი ორგანო. 2017 წელს, მუნიციპალური ორგანოების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების შეფასება განხორციელდა 15 მაისიდან 15 ივლისის პერიოდში.

ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი შედგებოდა 3 ბლოკისგან:

1. საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება;
2. ელექტრონული მმართველობა;
3. მოქალაქეთა მონაწილეობა და ანგარიშვალდებულება.

პროექტის საბოლოო ანგარიში შეგიძლიათ იხილოთ მითითებულ მისამართზე:
https://idfi.ge/public/upload/news-photo/LSGINDEX_Report_GEO.pdf





პროექტი „იმერეთის მხარეში ევროკავშირთან ასოცირების პროცესის შესახებ საზოგადოებაში ინფორმირებულობის გაზრდა“

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო 2017 წლის ნოემბრის თვიდან დაიწყო პროექტის - „იმერეთის მხარეში ევროკავშირთან ასოცირების პროცესის შესახებ საზოგადოებაში ინფორმირებულობის გაზრდა“ განხორციელება. პროექტი დაფინანსებულია GIZ-ის მიერ პროექტის „საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინას შორის ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში თანამშრომლობის პლატფორმა“ ფარგლებში.



პროექტის მიზანს წარმოადგენს, იმერეთის მხარის 12-ვე მუნიციპალიტეტში საზოგადოების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება ასოცირების შეთანხმების 21-ე თავის - „რეგიონული განვითარება, თანამშრომლობა საზღვრისპირა და რეგიონულ დონეზე“ შესახებ.

პროექტი ექვს თვიანია და დასრულდება 2018 წლის მაისის თვეში.

პროექტის პრეზენტაცია გაიმართა ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში, სადაც ესწრებოდნენ იმერეთის მხარის გუბერნატორი, GIZ -ის წარმომადგენლები, ადგილობრივი თვითმმართველობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და მედია ორგანიზაციების წარმომადგენლები. პროექტის ფარგლებში იგეგმება საინფორმაციო შეხვედრები მოსახლობასთან, სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის წარმომადგენლებთან, ღია კარის დღეების ორგანიზება; ქუჩის კამპანია „რეგიონის განვითარება ნიშნავს!“ და სატელევიზიო/რადიო გადაცემები.

პროექტი „იცოდე მეტი მდგრადი საარსებო წყაროებისა და მუნიციპალური სერვისების შესახებ“

პროექტი „იცოდე მეტი მდგრადი საარსებო წყაროებისა და მუნიციპალური სერვისების შესახებ“ მიზანი იყო იძულებით გადაადგილებულ პირთა ადგილობრივ თემებში ინტეგრაციის ხელშეწყობა, მდგრად საარსებო წყაროებზე ინფორმაციის მიწოდებისა და მუნიციპალიტეტების შესაძლებლობების გაზრდის გზით. პროექტი დაფინანსებული იყო

დანის ლტოლვილთა საბჭოს მიერ (DRC) და აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მოსახლეობის, ლტოლვილთა და მიგრაციის ბიუროს მიერ.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ძირითადი აქტივობები:



პროექტის ფარგლებში შეიქმნა 10 კომპაქტური ცენტრი ქუთაისის მუნიციპალიტეტში

– აღნიშნულ მუნიციპალიტეტში კომპაქტური ცენტრების შერჩევა მოხდა წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით, კერძოდ:

1. რეაბილიტირებული/ახლადაშენებული და პრივატიზებული კომპაქტური ცენტრები;
2. კომპაქტური ცენტრები, სადაც დევნილი ოჯახების რაოდენობა 40–ზე მეტი იყო;
3. კომპაქტური ცენტრები, სადაც ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა უკვე შექმნილი იყო; აღნიშნული კრიტერიუმების ერთობლიობით შეიქმნა ქუთაისის მუნიციპალიტეტში 10 იძულებით გადაადგილებულ პირთა–დევნილთა კომპაქტური ცენტრი.

მოეწყო გასვლითი შეხვედრები იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა კომპაქტურ ცენტრებში და ჩატარდა ფოკუს ჯგუფის ინტერვიუები შერჩეულ იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა კომპაქტურ ცენტრებში, რომლის მიზანი იყო დენილთა წინაშე არსებული პრობლემების ადვოკატირება. ფოკუს ჯგუფის წევრების შერჩევის დროს დაცული იყო ჰომოგენურობის პრინციპი, კერძოდ სხვადასხვა ასაკის, გამოცდილების ადამიანი ჩაერთო გამოკითხვის პროცესში, დაცული იქნა გენდერული ბალანსი. ჯამში თითო ფოკუს ჯგუფზე გამოიკითხა 12 ადამიანი. თითოეულ კომპაქტურ ცენტრში ჩატარდა ერთი გამოკითხვა, ჯამში სულ ჩატარდება 10 ფოკუს ჯგუფის ინტერვიუ.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა გამოკვეთეს შემდეგი სახის პრობლემები:

- შიდა გზის პრობლემა;
- საბავშვო გასართობი ატრაქციონების/ სკვერის/
- სათამაშო მოედანის მოწყობა;
- კორპუსის გადახურვა/ კორპუსის სადარბაზოს



- გადახურვა;
- ქუჩის სახელდება და ნუმერაცია;
- სანიაღვრე/სადრენაჟო სისტემის მოწყობა;
- გარე განათების მოწყობა ეზოში;
- კორპუსის წყალმომარაგება;



ჩატარდა ტრენინგები ეფექტური საადვოკაციო კამპანიის წარმოებაზე – პროექტი ფარგლებში, მას შემდეგ, რაც ფოკუს ჯგუფის ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა დევნილთა კონკრეტული საჭიროებები, ფოკუს ჯგუფის მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია საადვოკაციო კამპანიის წარმოების ტექნიკაზე, რათა მათი ჩართულობა კიდევ უფრო გაიზარდოს მუნიციპალურ დონეზე. შემუშავდა სამოქმედო

გეგმები, სადაც მიეთითა ასევე კონკრეტულ აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები. ჯამში სულ 10 ტრენინგი ჩატარდა, ტრენინგს ესწრებოდა მინიმუმ 12 ადამიანი, ჯამში გადაზიდულა 120 დევნილი.

პროექტის დასასრულს გაიმართა მრგვალი მაგიდის ფორმატის შეხვედრა, სადაც განხილული იქნა პროექტის ფარგლებში შექმნილი იძულებით გადავილებულ პირთა – დევნილთა საჭიროებების/პრობლემის ადვოკატირების ერთიანი დოკუმენტი, რომელშიც წარმოდგენილი იყო როგორც დევნილთა არსებული საჭიროებები სახელმწიფო/ადგილობრივ დონეზე, ასევე რეკომენდაციები დევნილთა საარსებო წყაროებისა და ადგილობრივ/მუნიციპალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისთვის. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო, როგორც ადგილობრივი სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებმა, ასევე დევნილმა მოსახლეობამ.

პროექტი „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პოლიტიკური და საარჩევნო შესაძლებლობების გაძლიერება“

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო 2016 წლიდან საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან პარტნიორობითა და USAID–ის ფინანსუ-



რი მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პოლიტიკური და საარჩევნო შესაძლებლობების გაძლიერება“. პროექტის მიზანი გახლავთ, შშმ პირთა პოლიტიკური და საარჩევნო უფლებების რეალიზების ხელშეწყობა, არჩევნების სამართლიანად/დემოკრატიულად ჩატარებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებების ანგარიშვალდებულების გაზრდა, საარჩევნო პროცესებისა და ამ პროცესებში არსებული კანონმდებლობის ანალიზის, საერთაშორისო სტანდარტებისა და კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანის გზით. პროექტის ფარგლებში ჩატარდა კვლევა, რომელიც არის საბაზისო დოკუმენტი და მოიცავს საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის აღწერას, ერთგვარ ჩარჩოს, რომელიც განსაზღვრავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პოლიტიკურ უფლებებს, ასევე მონაცემებს პრაქტიკაში არსებული სირთულეების და ბარიერების შესახებ, რაც ხელს უშლის ამ უფლებების რეალიზაციას. არანაკლებ მნიშვნელოვანია კვლევის ნაწილი, რომელიც აღწერს არსებულ მდგომარეობას და აჩვენებს თუ რა ღონისძიებებს ახორციელებს სახელმწიფო, რამდენად ადაპტირებულია საარჩევნო უბნები, რამდენად სრულყოფილია მონაცემთა ბაზა და რა ღონისძიებებს ატარებენ შესაბამისი სახელმწიფო უწყებები შშმ პირთა პოლიტიკური უფლებების რეალიზაციის კუთხით. წარმოდგენილი კვლევა ასევე ეყრდნობა, პროექტის ფარგლებში ჩატარებული სამი ფოკუს ჯგუფის ანალიზს, რომლებიც ორგანიზებულ იქნა იმერეთის სამ მუნიციპალიტეტში: ქუთაისში, ბაღდათსა და ზესტაფონში და რომელშიც მონაწილეობა მიიღო 30 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირმა.





კვლევის მეორე და მესამე ნაწილების ბოლოს წარმოდგენილი იქნება რეკომენდაციები, რომლებიც შემუშავდება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უშუალო ჩართულობით, პროექტის განხორციელების შედეგად დაგროვებული გამოცდილებითა და სხვადასხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე.

პროექტი „მეტი ქალის ხმა ადგილობრივ თვითმმართველობაში“

პროექტის მიზანია იმერეთის მხარეში პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამებში ქალი ამომრჩევლებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების ასახვის ხელშეწყობა დამათი ადვოკატირება.

პროექტი ორი ეტაპისაგან შედგება და მოიცავს წინასაარჩევნო და არჩევნების შემდგომ პერიოდებს. წინასაარჩევნო პერიოდში, ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველომ ჩაატარა ფოკუს ჯგუფების ინტერვიუები იმერეთის რეგიონის 12-ვე მუნიციპალიტეტში. ფოკუს ჯგუფების საკვლევი თემატიკა გახლდათ ქალი ამომრჩევლების საჭიროებები/პრობლემები, რომელთა მოგვარება არის ყველაზე პრიორიტეტული თავად ქალებისათვის. ფოკუს ჯგუფის ინტერვიუსთვის კითხვარის შემუშავება მოხდება სოციოლოგის მეშვეობით. შედეგების ანალიზის საფუძველზე მომზადდა ანგარიში, რომელიც წარედგინება იმერეთის 12-ივე მუნიციპალიტეტში დასახელებულ ყველა საარჩევნო კანდიდატსა და სუბიექტს, რათა პარტიებს აესახათ ამომრჩეველ ქალთა რეალური საჭიროებები თავიანთ პოლიტიკურ პროგრამებსა და გრძელვადიან ხედვებში. პროექტის პირველ ეტაპზე ასევე ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები იმერეთის მხარის 12-ვე მუნიციპალიტეტში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან და კანდიდატებთან გენდერული თანასწორობის პრინციპების შესახებ.



პროექტის მეორე ეტაპზე, (არჩევნების შემდეგ) მუშაობა გაგრძელდა მუნიციპალიტეტში შექმნილ გენდერული თანასწორობის საბჭოებთან, რომელთაც წარედგინათ ქალთა საჭიროებების დოკუმენტი და კონკრეტული რეკომენდაციები ორგანიზაციის მიერ. პროექტის განხორციელების პერიოდში მომზადდა 12 სიუჟეტი ქალი ამომრჩევლების პრობლემების შესახებ, ასევე მომზადდა 12 სატელევიზიო და 12 რადიო გადაცემა, სადაც საზოგადოების ფართო მასებს ჰქონდათ

საშუალება მოესმინათ იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტებში ამომარჩეველ ქალთა საჭიროებების შესახებ.

იმერეთის მხარის 12-ვე მუნიციპალიტეტში ჩატარებული ფოკუს-ჯგუფის შედეგების ასახვა და სოციალურ მედიაში გავრცელება მოხდა ინფო-გრაფიკების მეშვეობითაც. შედეგად საზოგადოების უფრო დიდმა ნაწილმა შეძლო მუნიციპალიტეტში არსებული ქალთა საჭიროებების შესახებ ინფორმაციის მიღება. ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს Facebook გვერდზე ატვირთული ინფო-გრაფიკების ნახვების რაოდენობა ადასტურებს, რომ მათ აქტიური ქალების, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მედიის და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან მაღალი ინტერესი გამოიწვია. პროექტის ფარგლებში იგეგმება დასკვნითი კონფერენციის - ქალთა ყრილობის ორგანიზება, სადაც შევამდე პროექტის ფარგლებში გამოკვეთილი საჭიროებები და მოეწყობა მსჯელობა ამ პრობლემათა გადაჭრის გზების შესახებ.



პროექტი ხორციელდება აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ACCESS-ის ფინანსური მხარდაჭერით.

სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა - იმერეთის რეგიონული ჰაბი

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო გახდა HUB ორგანიზაცია იმერეთის მხარეში რომლის ძირითადი ვალდებულებები იქნება შემდეგი:

- იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტებში მოქმედი სამოქალაქო საზოგადოების/სათემო ორგანიზაციებისთვის კონსულტაციების გაწევა და მათი ინფორმირება;
- იმერეთის მხარის ჰაბში ცხელი ხაზის სერვისის შექმნა, რომელიც სხვადასხვა აქტორებს საშუალებას მისცემს მიიღონ კვალიფიციული სამართლებრივი დახმარება/არამართობა;



- იმერეთის მხარის ჰაბის წევრების ჩართულობის უზრუნველყოფა, როგორც რეგიონის ასევე ეროვნულ დონეზე დაგეგმილ ღონისძიებებში;
- რეგიონული სამოქალაქო საზოგადოების ფორუმების ორგანიზება;
- შეხვედრები სამოქალაქო საზოგადოების, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან იმერეთის მხარეში;
- საინფორმაციო ბუკლეტის ბეჭდვა, სადაც აისახება იმერეთის მხარეში მოქმედი სამოქალაქო ორგანიზაციების შესახებ ინფორმაცია;
- სამოქალაქო საზოგადოებისა და სათემო ორგანიზაციის წარმომადგენლებისთვის ტრენინგების ჩატარება ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის შესახებ;

პროექტი ხორციელდება კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) მიერ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტთან (CSI), ტრენინგის და კონსულტაციის ცენტრთან (CTC), საქართველოს სტრატეგიული კვლევის და განვითარების ცენტრთან (CSRDG) და განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრთან (EDEC) პარტნიორობით.

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირისა და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს მიერ. პროექტის ფარგლებში, რომლის საერთო ბიუჯეტია 5.07 მლნ ევრო (აქედან ევროკავშირის კონტრიბუცია 3.8 მლნ ევროა), განხორციელდება სხვადასხვა სახის 110-ზე მეტი აქტივობა და გაიცემა 80-მდე გრანტი, ჯამში 720 ათასი ევროს ღირებულების, სულ

მცირე 2500 სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლისთვის მთელი საქართველოს მასშტაბით.

ახალგაზრდული პროგრამები

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს ახალგაზრდულმა კლუბმა „ახალგაზრდები ევროპისთვის“ 2017 წელს დაასრულა საქმიანობა, შესაბამისად კლუბის წევრებს გადაეცათ სერთიფიკატები აქტიური და წარმატებული მონაწილეობისთვის. ამავე წელს, ორგანიზაციამ კონკურსის შედეგად 25 ახალგაზრდა შეარჩია ახალგაზრდული კლუბის წევრებად. 2018 წლის განმავლობაში კლუბის წევრებს საშუალება ექნებათ მიიღონ მონაწილეობა მობაღისეობრივ ღონისძიებებში, ტრენინგებში, ინგლისური ენის კლუბში.



ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველომ 2017 წელს დაიწყო სტრატეგიული თანამშრომლობა ევროპელ პარტნიორებთან, შესაბამისად 2018 წლის 5-12 მაისს, ორგანიზაცია უმასპინძლებს Erasmus + ფარგლებში დაფინანსებულ ახალგაზრდულ გაცვლით პროგრამას –“Start Up Green”. აგრეთვე, ოცამდე ქარველი ახალგაზრდა გაემგზავრება ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მოკლევადიან პროექტებში მონაწილეობის მისაღებად.

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველომ გასულ წელს, აქტიურად მონაწილეობდა Erasmus+ აქტივობებში. 2017 წელს ორგანიზაციამ ორი EVS მობაღისე გაგზავნა საფრანგეთში და ხუთი ახალგაზრდა ევროპის ქვეყნებში, რომ მონაწილეობა მიეღოთ ტრენინგ კურსებსა და ახალგაზრდულ გაცვლით პროგრამებში.



ახალგაზრდული კლუბის „ახალგაზრდები ევროპისთვის“ წევრების, საფრანგეთში, ე. სტრასბურგში სასწავლო ვიზიტის შეჯამება

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს წარმომადგენლები და ახალგაზრდული კლუბის წევრები



ქუთაისის მერიის წარმომადგენლებთან ერთად შეხვდნენ საფრანგეთის ელჩს - პასკალ მენიეს.

შეხვედრისას ელჩმა დამსწრეებს გააცნო საელჩოს ამჟამინდელი და სამომავლო გეგმები საქართველოში, ასევე ახალგაზრდული კლუბის წევრებმა წარადგინეს შემაჯამებელი პრეზენტაცია საფრანგეთში სასწავლო ვიზიტის შესახებ, რომელიც განხორციელდა ქ.ქუთაისის მერიის, ქ. სტრასბურგის მერიის, ევროპული ასოციაცია ადგილობრივი დემოკრატიისთვის/ALDA-ს და ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს ერთობლივი პროექტის „ახალგაზრდები ევროპისათვის“ ფარგლებში.

სამუშაო ვიზიტი „The color of the Promegrades” 10-15 ივლისი, 2017 წელი, ქ. ერევანი, სომხეთი

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს ახალგაზრდული კლუბის კოორდინატორმა მაკა ცერცვაძემ მონაწილეობა მიიღო SALTO-YOUTH-ის მიერ დაფინანსებულ პროექტში, სახელწოდებით-“The color of the Promegrades”. პროექტი განხორციელდა სომხეთში 2017 წლის 10-15 ივლისს. პროექტი მიზნად ისახავდა გაეძღვრებინა კავშირები EVS კოორდინატორებსა და EVS ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით და ასევე შეესწავლათ სომხეთში არსებული რეალობა EVS პროექტებისა და ზოგადად ორგანიზაციის შესახებ. 27 EVS კოორდინატორი ნ დღის განმავლობაში სტუმრობდა სხვადასხვა მასპინძელ ორგანიზაციებს სომხეთში. ვიზიტების მიზანი გახლდათ უფრო მეტი ინფორმაციის მიღება EVS-ის პროექტების რეგიონულ კონტექსტზე და იმის შესახებ თუ რას ნიშნავს მოხლისე მუშაობდეს და ცხოვრობდეს სომხეთში. პროექტმა „The color of the Promegrades“ ერთმანეთს დააკავშირა სხვადასხვა ქვეყნების EVS ორგანიზაციები და შექმნა სივრცე მონაწილეებისათვის რომ განავითარონ თავიანთი პარტნიორული ურთიერთობები.

ტრენინგი „Youth Can Help” 17-24 ივლისი, 2017 წელი, ქ. სუმი, უკრაინა.

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს მხარდაჭერით ნაზი ლელაძემ მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ტრენინგ კურსში სადაც იგი გაეცნო სხვადასხვა შესაძლებლობებს როგორ დაეხმარონ ლტოვილთა და იძულებით გადაადგილებულ ახალგაზრდებს ადგილობრივ მოსახლეობასთან ინტეგრაციაში. თავისი გამოცდილების შემსახებ ნაზი წერს შემდეგს:



„საერთაშორისო ტრენინგმა „Youth Can Help“ მომცა შესაძლებლობა მესწავლა სხვადასხვა მეთოდები თუ როგორ უნდა დავეხმაროთ მიგრანტებს, ლტოლვილებსა და იძულებით გადაადგილებულ პირებს მოახდინონ ადგილობრივებთან ინტეგრაცია“. ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდებმა 9 სხვადასხვა ქვეყნიდან, აქედან გამომდინარე, ნაზის შესაძლებლობა მიეცა უფრო მეტი გაეგოს სხვადასხვა კულტურების შესახებ და თავისმხრივ გაეზიარებინა საკუთარი ქვეყნის შესახებ ინფორმაცია.

ტრენინგი «S.H.O.W. Respect!» 3-12 ივნისი, 2017 წელი, ქ. ფიორენზულა, იტალია

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს მხარდაჭერით, კონსტანტინე სვანიძემ (ახალგაზრდა ფსიქოლოგი) და ლევან ქათამაძემ (ახალგაზრდა ჟურნალისტი) მონაწილეობა მიიღეს Erasmus+ ფარგლებში ორგანიზებულ ტრენინგ კურსში, რომელიც ჩატარდა იტალიაში 3-12 ივნისს, 2017. პროგრამის «S.H.O.W. Respect!» (Support and Help for Oppressed Women-ბეწოლის ქვეშ მყოფი ქალების მხარდაჭერა და დახმარება) მონაწილეებმა განსაზღვრეს ხელოვნების/art როლი ოჯახში ძალადობის შესახებ ცნობიერების გაზრდის პროცესში. მონაწილეებმა დადგეს პიესა ადგილობრივ თეატრში, აგრეთვე ისინი დაესწრნენ სემინარებსა და სასწავლო ტურებს სხვადასხვა ორგანიზაციებში. პროექტი ორგანიზებული იყო იტალიური ორგანიზაციის SciaraProgetti-ის მიერ.





ახალგაზრდულ გაცვლით პროგრამა „Social Entrepreneurship” 23 იანვარი - 3 თებერვალი 2017, ქ. ერევანი, სომხეთი

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს ახალგაზრდული კლუბის „ახალგაზრდები ევროპისთვის” წევრმა შაკო ჩხეიძემ მონაწილეობა მიიღო Erasmus + ფარგლებში ორგანიზებულ ახალგაზრდულ გაცვლით პროგრამაში. ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამა მიზნად ისახავდა პლატფორმის შექმნას სადაც ახალგაზრდებს აქვთ შესაძლებლობა გააძლიერონ თავიანთი თავი და შეიძინონ კონკრეტული უნარები რათა შეძლონ საკუთარი თემების განვითარება საუკეთესო გამოცდილებების, იდეების გაზიარებით, ტექნიკისა და ინსტრუმენტების გაცვლის გზით რაც ხელს შეუწყობს სოციალური სამეწარმეო სულისკვეთების და უნარების განვითარებას განვითარებას ზოგადად ახალგაზრდებში და ასევე თავშესაფრის მაძიებელ და ლტოლვილ ახალგაზრდებს შორის.

EVS მოხალისეები საფრანგეთში/ბორდო, სექტემბერი 2017-აგვისტო 2018



ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველომ, საფრანგეთში ქ. ბორდოში, გრძელვადიან მოხალისეობრივ პროექტში მონაწილეობის მისაღებად გაგზავნა მოხალისეები შაკო ჩხეიძე დამაგდა ფურცხვანიძე”. პროექტის ფარგლებში მოხალისეებს ერთი წლის განმავლობაში უმასპინძლებს ფრანგული ორგანიზაცია „Maison De l’Europe Bordeaux-Aquitaine“.

EVS პროექტის მიზანია რაც შეიძლება მეტი ადამიანის განათლება ევროპის მასშტაბით. მოხალისეების ძირითადი საქმიანობებია: თამაშები, დებატები, კულტურული ღონისძიებები, სპორტული ან სხვა აქტივობები ორგანიზებული ადგილობრივი ახალგაზრდებისათვის. მოხალისეები განახორციელებენ სხვადასხვა აქტივობებს ევროპის შესახებ ინფორმირებულობის ამაღლების მიზნით. ღრმად გვწამს, რომ შაკო და მაგდა იქნებიან ევროპული ღირებულებების დესპანები საქართველოში! ისინი საქართველოში 2018 წლის აგვისტოში დაბრუნდებიან.

მშვიდობის კრპუსის მოხალისე ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოში

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოში ორი წლის განმავლობაში (2017-2019) მასპინძლობს, მშვიდობის კრპუსის ინდივიდუალური და ორგანიზაციული განვითარების პროგრამის მოხალისეს ერინ მაქკოუნს.

ერინი აქტიურად არის ჩართული ორგანიზაციის ახალგაზრდულ კლუბთან მუშაობაში, რათა დაეხმაროს მათ შეიძინონ დამსაქმებლისთვის მოთხოვნილი უნარები, განვითარონ ლიდერული უნარჩვევები და ინგლისური ენის ცოდნა. იგი კოლეგებთან ერთად ასევე მუშაობს საგრანტო პროექტების წერაზე, მათ რედაქტირებაზე, დიზაინზე და ტრენინგების მომზადებასა და ჩატარებაზე.



ორგანიზაციამ მოხალისესთან ერთად განაზოციელა ისეთი პროექტები როგორცაა: „ერთი მილიარდი ამბოხებული“ რომელიც ემსახურებოდა საქართველოში გენდერული ძალადობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას, ასევე ERASMUS + ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამები და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენციის მოდელირება. იგი, ასევე კონსულტაციებს გადის თანამშრომლებთან ორგანიზაციული განვითარების შესახებ.

ქალბატონ ერინს აქვს კარგი ცოდნა ადმინისტრაციულ, კომუნიკაციურ, საერთაშორისო ურთიერთობებსა და საერთაშორისო დონორებთან მუშაობის შესახებ.

სხვადასხვა

2017 წელს ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველომ ორგანიზაციის ათი წლის იუბილე აღნიშნა.

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო/Local Democracy Agency Georgia დაფუძნებულ იქნა 2006 წელს ქ.ქუთაისში, ALDA (ევროპული ასოციაცია ადგილობრივი დემოკრატიისათვის) ინიციატივის საფუძველზე, მისი მიზანია ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით, გააძლიეროს



ადგილობრივი დემოკრატია და სამოქალაქო საზოგადოება, ხელი შეუწყოს დემოკრატიული რეფორმების, ახალი და ინოვაციური მიდგომების განვითარებას საქართველოში.

საიუბილეო ღონისძიებას ესწრებოდნენ ALDA ვიცე-პრეზიდენტი იმისლავა გორსკა, ALDA-ს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების კოორდინატორი ნინო თვალთვაძე, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის მოადგილე იოსებ ხახალეიშვილი, ქუთაისის მერი შოთა მურღულია და ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს გამგეობის წევრები, ასევე ადგილობრივი და საერთაშორისო პარტნიორები.

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს აღმასრულებელმა დირექტორმა წარმოადგინა ორგანიზაციის ძირითადი საქმიანობები და ასევე სტუმრებს ჰქონდათ შესაძლებლობა ენახათ მოკლემეტრაჟიანი ფილმი ორგანიზაციის საქმიანობის მნიშვნელოვანი მომენტების შესახებ.

პარტნიორებმა და გამგეობის წევრებმა ისაუბრეს ორგანიზაციის როლსა და საქართველოში ადგილობრივი დემოკრატიის განვითარებისათვის პროცესში LDA-ის მისი მნიშვნელობაზე.

ორგანიზაცია კვლავ აგრძელებს აქტიურ მუშაობას ისეთივე წარმატებით, როგორც გასული წლების განმავლობაში.

სტრასბურგის კლუბის შეხვედრა

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველომ 2017 წლის 7-10 ნოემბერს მონაწილეობა მიიღო ქ. სტრასბურგის კლუბის ევროპული სოლიდარობის ქსელის 15-ე საერთო კრებაში. შეგახსენებთ, რომ სტრასბურგის კლუბის აერთიანებს 18 ქვეყნის 30 ქალაქის ადგილობრივ თვითმმართველობებს და ადგილობრივი დემოკრატიის განვითარებაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს.



სტრასბურგის კლუბის შეხვედრა ჩატარდა მსოფლიო დემოკრატიის ფორუმის ფარგლებში, რომელიც ყოველწლიურად იმართება ქ. სტრასბურში, ევროპის საბჭოში და მასში მონაწილეობას ღებულობს ასობით ახალგაზრდა, ორგანიზაციისა და მთავრობის წარმომადგენლები სხვადასხვა ქვეყნიებიდან. მსოფლიოს დემოკრატიის ფორუმი უკვე მეექვსედ ჩატარდა და 2017 წელს მისი მთავარი

განსახილველი საკითხი გახლდათ პოლიტიკური პარტიებისა და მედიის როლი პოპულიზმის სწრაფ გაძლიერებაში.

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველომ აქტიური მონაწილეობა მიიღო ფორუმისა და სტრასბურგის კლუბის შეხვედრებში, ორგანიზაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ნინო ხუხუამ კოლეგებს გაუზიარა ქ. სტრასბურგთან თანამშრომლობის წარმატებული მაგალითები, მათ შორის პარტნიორული პროექტი - „ახალგაზრდები ევროპისათვის“ და აგრეთვე მოქალაქეთა ჩართულობის სხვა პროექტების შესახებ ინფორმაცია.

ფორუმზე ორგანიზაცია წარმოდგენილი იყო აღმასრულებელი დირექტორის ნინო ხუხუას, გამგეობის თავმჯდომარის ნოდარ ჯიქიასა და ახალგაზრდული მიმართულების კოორდინატორის მაკა ცერცვაძის შემადგენლობით.

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს აგრძელებს მუშაობას ახალი იდეებითა და საერთაშორისო პარტნიორობის ახალი შესაძლებლობებით!

საკონტაქტო ინფორმაცია:

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო

მის: წერეთლის ქუჩა 111 ა; 4600,

Tel: +995 (0)431 24 24 02

E-mail: ldageorgia@aldaintranet.org;

<https://www.facebook.com/LDAGEorgia>

www.ldageorgia.ge



საანგარიშო პერიოდი: 2017 წლის 01 იანვრიდან - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიში მოიცავს 2017 წლის 01 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდს. ამ ხნის განმავლობაში, სხვადასხვა წყაროებიდან გრანტისა და საწევროს სახით მიღებულია 184,850.00 ლარი. აღნიშნული თანხა, მიღების წყაროების მიხედვით, შემდეგნაირად გამოიყურება:

| Name of the Organization | GEL |
|---------------------------------|-------------------|
| ALDA | 57,816.00 |
| DRC | 6,388.00 |
| FAO | 8,086.00 |
| EAP | 3,442.00 |
| IWO | 11,636.00 |
| ACCESS | 26,695.00 |
| GYLA | 16,373.00 |
| GIZ | 8,683.00 |
| KAS | 34,826.00 |
| CTC | 10,620.00 |
| Local Membership | 285.00 |
| | 184,850.00 |